№58 2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

შპს „საგურამო ენერჯისთვის“ სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლისა და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საგურამო ჰესთან“ მიმავალი წყალმომარაგების მილის საავარიო და სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოების ჩატარების მიზნით, სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული თბილისის ეროვნული პარკის (ს/კ: 72.06.10.138) ტრადიციული გამოყენების ზონაში მდებარე 10 307 კვ.მ სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის (ხე-მცენარეების ჭრის უფლების გარეშე) ვადა შპს „საგურამო ენერჯის“ (ს/კ: 206337007) განესაზღვროს 49 წლით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**